შპს ატლანტიკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ატლანტიკ ჯორჯიას მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ატლანტიკ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს („IESBA“-ის კოდექსი) მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარდები) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშს, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2021 წლის 29 აპრილი
თბილისი, საქართველო

შპს ატლანტიკ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	34,510,160	37,164,988
არამატერიალური აქტივები		27,358	52,179
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,247,653	951,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		**35,785,171**	**38,169,020**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	9,879,035	6,923,050
გადახდილი ავანსები	10	928,527	700,542
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	7,816,764	10,001,584
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	2,662,151	215,194
სულ მოკლვადიანი აქტივები		**21,286,477**	**17,840,370**
სულ აქტივები		**57,071,648**	**56,009,390**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	92,891,766	73,340,457
დაგროვილი დეფიციტი		(40,774,302)	(32,466,089)
სულ კაპიტალი		**52,117,464**	**40,874,368**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი ვალდებულება	14	1,871,923	1,463,743
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,871,923**	**1,463,743**
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები	15	-	10,447,049
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		19,386	12,749
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,062,875	3,211,481
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,082,261**	**13,671,279**
სულ ვალდებულებები		**4,954,184**	**15,135,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**57,071,648**	**56,009,390**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხელი მოეწერა 2021 წ. 29 აპრილს:

სტეფან ლე მატრი	თინათინ დეკანოიძე
დირექტორი	ფინანსური მენეჯერი

შპს ატლანტიკ ჯორჯია
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში	**შენიშვნა**	**2020**	**2019**
ამონაგები	17	31,350,670	29,559,865
რეალიზაციის ღირებულება	9	(28,756,297)	(29,396,356)
მთლიანი მოგება		**2,594,373**	**163,509**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(6,263,186)	(6,240,775)
დისტრიბუციის ხარჯები		(97,237)	(199,707)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	(11,461)
სხვა საოპერაციო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		(72,415)	171,032
საოპერაციო ზარალი		**(3,838,465)**	**(6,117,402)**
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		(4,274,245)	195,527
ფინანსური ხარჯები		(195,503)	(110,864)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(8,308,213)**	**(6,032,739)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		**(8,308,213)**	**(6,032,739)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ, წლის სრული ზარალი		**(8,308,213)**	**(6,032,739)**

თანხები მოცემულია ლარში	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**73,340,457**	**(26,433,350)**	**46,907,107**
სულ წლის სრული ზარალი	-	(6,032,739)	**(6,032,739)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**73,340,457**	**(32,466,089)**	**40,874,368**
კაპიტალში შენატანი	19,551,309	-	**19,551,309**
სულ წლის სრული ზარალი	-	(8,308,213)	**(8,308,213)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**92,891,766**	**(40,774,302)**	**52,117,464**

თანხები მოცემულია ლარში	**შენიშვნები**	**2020**	**2019**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(8,308,213)	(6,032,739)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	4,188,409	3,933,026
ფინანსური ხარჯები		149,136	71,528
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		4,274,245	(195,527)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	11,461
საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინება/(გადინება)საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**303,577**	**(2,212,251)**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები			
ცვლილებები მარაგებში		(2,956,080)	3,486,378
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,742,187	(3,725,557)
ცვლილებები გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		(20,691)	(106,214)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,223,469)	(5,904,220)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		6,637	1,944
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების შემდეგ		**(1,147,839)**	**(8,459,920)**
გადახდილი პროცენტი	15	(5,717)	(2,995)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,153,556)**	**(8,462,915)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(1,714,040)	(3,154,883)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(15,275)
ინვესტიციების შესყიდვა		(295,800)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(2,009,840)**	**(3,170,158)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	15	6,430,290	10,672,944
ნასესხების სახსრების დაფარვა	15	(750,000)	(750,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**5,680,290**	**9,922,944**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**2.516,894**	**(1,710,129)**
ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(69,937)	(45,244)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**215,194**	**1,970,567**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**2,662,151**	**215,194**

1 შპს ატლანტიკ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინნასური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს ატლანტიკ ჯორჯიასთვის (შემდგომში „კომპანია“).

შპს ატლანტიკ ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 9 თებერვალს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 412724477.

ატლანტიკ ჯორჯიას სრული მფლობელია - Atlantic SFDT („მშობელი“), იურიდიული საწარმო, რომელიც დაფუძნდა და არსებობს საფრანგეთის კანონმდებლობით და არის მშობელი კომპანია Groupe-Atlantic-სთვის (“ჯგუფი”). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ბატონი ჟან-პიერ ლამური.

ძირითადი საქმიანობა.. კომპანია ახდენს ელექტრო წყლის გამაცხელებლების წარმოებას. კომპანიას საწარმოო ობიექტი ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში აქვს და წარმოების მასალებისა და კომპონენტების შესყიდვების ძირითად ნაწილს, ისევე, როგორც გაყიდვებს, ახორციელებს დაკავშირებული მხარეების საწარმოებთან.

ბიზნესის წარმოების ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებელის ქუჩა 88.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ფარგლებშია. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანპონმდებლობა ხასიათდება განსხვავებული ინტერპრეტაციებით და და ხშირი ცვლილებებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების გამო, COVID-19- ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, კომპანიამ დროებით შეწყვიტა წარმოების პროცესი 2020 წლის აპრილში. მიუხედავად ამისა, ამას შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის გაყიდვების ან მიწოდების ქსელზე 2020 წელს, რადგან კომპანიამ განაგრძო საქონლის წარმოება და ექსპორტი, როგორც კი ეს საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული გახდა.

ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ამასთან, ვინაიდან ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს, ხელმძღვანელობა აგრძელებს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და ყველა შესაძლო ზომების მიღებას ნებისმიერი ზეგავლენის შესამცირებლად.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლლებებისა, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვების გაკეთებას. ასევე მენეჯმენტის მსჯელობას, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ის საკითხები რომლებიც მოიცავს მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იყო გამოყენებული, ჩამოთვლილია ქვემოთ:

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) *ძირითადი საშუალებები.*

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურების ანარიცხებით , ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემცირებული თვითღირებულებით. თვიღღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილების გამოცვლის და გრძელვადიანი სამშენებლო პროექტებისთვის ნასესხები სახსრების ხარჯებს, როდესაც აღიარების კრიტერიუმები დაცულია. მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლა საჭიროა, ინტერვალების დაცვით, კომპანია აღიარებს ასეთ ნაწილებს, როგორც ინდივიდუალურ აქტივებს, სპეციფიური სასარგებლო მომსახურების ვადით და ცვეთს მათ შესაბამისად. ასევე, მსხვილი ინსპექტირების განხორციელებისას, მისი თვითღირებულება ემატება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, როგორც შეცვლა, თუ აქტივის აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ყველა სხვა შეკეთების და მოვლა-შენახვის ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,მათი გაწევისთანავე.

ცვეთა გამოანგარიშება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობებისა და მიწის გაუმჯობესება	25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	4 წელი

აქტივები ცვეთას იწყებს იმ თვიდან, როდესაც ეს აქტივი დაიწყებს ოპერირებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების საგნის და ნებისმიერი თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება გასვლისას ან მაშინ, როდესაც მოსალოდნელი არ არის არანაირი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებიდან ან გასვლიდან. ნებისმიერი შემოსულობა თუ ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების შეწყვეტის გამო (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა გასვლის შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივს აღიარება შეუწყდა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის დასასრულს და კორექტირდება პერსპექტიულად, საჭიროებისამებრ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის საფასური, რომლებიც წარმოების პროცესში პირდაპირაა ჩართული, წარმოადგენს წარმოების ზედნადებ ხარჯებს და კლასიფიცირდება გაყიდვების თვითღირებულებად (თუ წარმოებული მარაგები რეალიზებულ იქნა) ან მარაგებად (თუ წარმოებული მარაგები არ იქნა რეალიზებული).

b) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას, მშენებლობას ან შექმნას და მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებისთვის, კაპიტალიზირდება ამ აქტივების თვითღირებულებაში. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება ხარჯებს იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომელიც საწარმოს მიერ გაიწევა თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოქმნილია კომპანიის შიგნით, გარდა კაპიტალიზებადი განვითარების ხარჯებისა, აისახება ხარჯებად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯი გაიწევა.

არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადით, ამორტიზდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე ყოველთვის, როდესაც არსებობს ფაქტორები იმაზე, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი გადაიხედება, სულ ცოტა, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. აქტივში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მოსალოდნელი მოხმარების მოდელი და მოსალოდნელი სასარგებლო მოხმარების ვადებში ცვლილებები განიხილება, როგორც ამოტიზაციის პერიოდის და მეთოდის მოდიფიკაცია, საჭიროებისამებრ და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებად ითვლება. კომპანიას არ გააჩნია აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით.

განსაზღვული სასარგებლო მომსახურების ვადიანი აქტივების ამორტიზაციის დანახარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, დანახარჯების კატეგორიაში, რაც შეესაბამება არამატერიალური აქტივების ფუნქციას. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს გააჩნიათ 4 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადა.

შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად, ფასდება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივს აღიარება უწყდება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

d) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმაზე, რომ აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს ან როდესაც ტესტი გაუფასურებაზე საჭიროა, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ღირებულებასა (ნეტო სარელალიზაციო ღირებულება) და აქტივის გამოყენების ღირებულების შორის. აღდგენითი ღირებულება განსაზღვრულია ინდივიდუალური აქტივებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს აქტივი არ წარმოქმნის ფულადი ნაკადების შემოდინებას, რომლებიც უმეტესწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან ან აქტივების ჯგუფებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, განაკვეთი ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებებს ფულის დროითი ღირებულებაზე და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯების (ნეტო სარეალიზაციო ღირებულება), განსაზღვრისას გათვალისწინებულია უახლესი საბაზრო ტრანზაქციები. თუ მსგავსი ტრანზაქციების იდენტიფიცირება ვერ მოხდა, შეფასების შესაბამისი მოდელი იქნება გამოყენებული. ეს გათვლები განმტკიცებულია შეფასების კოეფიციენტებით, საჯაროდ მოვაჭრე კომპანიების კვოტირებული სააქციო ფასებითა და სხვა ხელმისაწვდომი რეალური ღირებულების ინდიკატორებით.

კომპანია, გაუფასურების გამოთვლის საფუძვლად იყენებს დეტალურ ბიუჯეტებს და საპროგნოზო კალკულაციებს, რომლებიც მზადდება განცალკევებით ყველა კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქნელი ერეულისთვის, რომლებისთვისაც ინდივიდუალური აქტივები გამოიყოფა. ეს ბიუჯეტები და საპროგნოზო კალკულაციები ძირითადად ფარავს 5 წლამდე პერიოდს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოიანგარიშება გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი და გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების პროექციისთვის ხუთი წლის შემდეგ.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, დანახარჯების კატეგორიებში, რომლებიც შეესაბამება გაუფასურებული აქტივის ფუნქციას.

აქტივებისთვის გუდვილის გარდა, შეფასება ხორციელდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, იმის განსასაზღვრად, არის თუ არა მინიშნება იმაზე, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს ან შემცირდა. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის კორექტირება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებას ჰქონდა ადგილი მას შემდეგ, რაც ბოლო გაუფასურების ზარალი აღიარდა. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კორექტირება შეზღუდულია ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით , რომ არ ყოფილიყო აღიარებული გაუფასურების ზარალი აქტივისთვის წინა წლებში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

e) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მისაყვანად გაწეული ხარჯები აღირიცხება შემდეგნაირად:

- ნედლეული: შეძენის ღირებულება, საშუალო შეწონილი ღირებულებით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წამოება: პირდაპირი მასალებისა და შრომის ღირებულება და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილი, რომელიც ეფუძნება ჩვეულებრივ საოპერაციო წარმადობას, ნასესხები სახსრების ხარჯების გამოკლებით

მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი ღირებულებით გაყიდვის თვითღირებულებაში. ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

f) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რაც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

ნაშთები და ტრანზაქციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალური ვალუტის სპოტ კურსებით იმ თარიღით, როდესაც ტრანზაქცია პირველად კვალიფიცირდება აღიარებისთვის.

მონატარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ფუნქციონალური სპოტ გაცვლის კურსით საანგარიშო თარიღისთვის.

მონეტარული მუხლების კონვერტირების ან დაფარვისგან წარმოქმნილი სხვაობები აღიარდება მოგებასა და ზარალში.

არამონეტარული მუხლები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების პირობებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება თავდაპირველი ტრანზაქციის თარიღის გაცვლის კურსის გამოყენებით. არამონეტარული მუხლები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღში არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარისთვის იყო 3.2766 ლარი და ერთი ევროსთვის 4.0233 ლარი (2019 წლის 31 დკემებერი: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო 3.2095 ლარი.) ამჟამად, საქართველოს ფარგლებს გარეთ ქარული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

g) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას, ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენება აქტივის ან ვალდებულებისთვის როდესაც შეფასების ყველა მატერიალური მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად ბაზრის მონამცებებს (შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი მონაცემები).

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (''AC'') არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL").* დაგროვილი პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის დანახარჯების და პრემიის ან ფასდაკლების ამორტიზაციას საწყისი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ვადის ამოწურვის ღირებულებამდე. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს კრედიტის გავრცელებას ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (‘FVTPL’), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (‘FVOCI’) და ამორტიზებული ღირებულებით (‘AC’).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი’), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი’) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (‘FVTPL’).

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (‘ECL’). კომპანია პროგრესულად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით (AC) და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის.კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი ოდენობა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) გონივრული და ღირებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის ანარიცხი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 თვის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ მოთხოვნები კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც მოთხოვნები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის წილობრივ წონებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომპანიის მოვალეების ისტორიულ ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორებია, რომლებსაც გავლენა აქვს მოთხოვნების აღდგენითობაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული (AC) , გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა (FVTPL) : ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალის პერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება და არის განზრახვა რომ მოხდეს ანგარიშსწორება ნეტო თანხით ან მოხდეს ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების ოპერაცია. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

h) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ამგარიშგებაში მოიცავს ფულს სალაროში და ხელზე, მოკლევადიან დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს და მოკლევადიან დეპოზიტებს, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

i) რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით,ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ტრანზაქციისას. რეალური ღირებულების შეფასება ემყარება იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის გარიგება ან ვალდებულების გადაცემა მოხდება ან:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირთადი ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე

ძირითადი და ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ფასდება იმ დაშვებებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისას, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მათი საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებისდან გამომდინარე.

არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეების უნარს, გამოიმუშაონ ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესო გამოყენებით ან მისი მიყიდვით სხვა ბაზრის მონაწილისთვის, რომელიც აქტივს გამოიყენებს მისი საუკეთესო გამოყენებით.

კომპანია იყენებს შეფასების იმ ტექნიკას, რომელიც გარემოებების შესაბამისია და რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია საკმარისი მონაცემები, რათა შეფასდეს რეალური ღირებულება, შესატყვისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მაქსიმიზირებით და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლებისთვისაც ფასდება რეალური ღირებულება ან ფინანსურ ანგარიშგებაშია გამჟღავნებული, კატეგორიებად არის დაყოფილი რეალური ღირებულების იერარქიაში, რაც აღწერილია ქვემოთ და ეფუძნება ყველაზე დაბალი დონის მონაცემებს, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში:

- დონე 1 – კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის
- დონე 2 –. შეფასების ის ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად, პირდაპირ თუ ირიბად დაკვირვებადია.
- დონე 3 –. შეფასების ის ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად არ არის დაკვირვებადი.

იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში განმეორებად საფუძველზე, კომპანია საზღვრავს , ტრანსფერები იერარქიის დონეებს შორის კატეგორიზაციის გადაფასების საშუალებით მოხდა თუ არა (ეფუძნება ყველაზე დაბალი დონის მონაცემებს, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში) ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების გამჟღავნების მიზნებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა აქტივების და ვალდებულებების კლასები მათი ბუნების, ხასიათის, აქტივების და ვალდებულებების რისკების და რეალური ღირებულების იერარქიის დონის საფუძველზე, როგორც განმარტებულია ზემოთ.

j) გადასახადები

კომპანია ოპერირებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და მისი ოპერაციები არ ექვემდებარება გადასახადებს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

k) მოკლევადიანი კლასიფიკაცია გრძელვადიანის საპირისპიროდ

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგგარიშგებაში წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს მოკლევადიანი/გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით. აქტივი მოკლევადიანია როდესაც :

- მოსალოდნელია, რომ ის რეალიზდება ან განსაზღვრულია გასაყიდად ან მოსახმარებლად ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში
- უპირველესად ფლობილია სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია რომ რეალიზდება 12 თვის განმავლობაში საანგარიშო პერიოდის შემდგომ; ან

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც::

- მოსალოდნელია, რომ ის დაიფარება ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში
- ის ფლობილია უპირველესად სავაჭრო მიზნებისთვის;
- ის დასაფარია საანგარიშო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს უპირობო უფლება გადაიდოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვით საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

კომპანია ყველა სხვა ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს, როგორც გრძელვადიანის.

l) კაპიტალთან დაკავშირებული გარიგებები

მიღებული არაფულადი აქტივები და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება ამ აქტივების რეალური ღირებულებით . თუ რეალური ღირებულების დადგენა სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, ამ აქტივების ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში განისაზღვრება მინიჭებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებასთან მითითებით.

m) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (კანონიერი ან კონსტრუქციული), რაც გამოწვეულია წარსული მოვლენის შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება იმ რესურსების გადინება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს და ვალდებულების ოდენობის სარწმუნო შეფასების გაკეთება არის შესაძლებელი. როდესაც კომპანია მოელის მთლიანი ანარიცხის, ან მისი ნაწილის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, ანაზღაურება აღიარდება, როგორც ცალკე აქტივი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად ზუსტია. ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო თანხით , ნებისმიერი ანაზღაურების გარეშე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

n) ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, გადასახადების, საექსპორტო ვალდებულებების და სხვა სავალდებულო გადასახადების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება კოტროლის გადაცემის მომენტში.

ტრანზაქციის ფასი Groupe-Atlantic-ის მიერ განისაზღვრება და წარმოადგენს იმ თანხას, რომლის უფლებასაც კომპანია მოელის, რომ ექნება დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის მყიდველისთვის გადაცემის ნაცვლად, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც მესამე მხარეების სახელით არის მირებული. საგარანტიო მომსახურებაზე პასუხისმგებელი არის Groupe-Atlantic-ი, შესაბამისად კომპანიის მიერ არ არის აღიარებული არანაირი საგარანტიო ანარიცხი.

სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა. კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებით. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა, და ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილს მთლიანად გასაწევ მომსახურებაში, რადგან მომხმარებელი სარგებელს მყისეულად იღებს და მოიხმარს.როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი ფიქსირებულ თანხას იხდის საკტრედიტო პირობების საფუძველზე. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება გადააჭარბებს გადახდას, მაშინ სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდები გადააჭარბებს გაწეულ მომსახურებას, მაშინ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

o) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილებების, მფლობელობის და ა.შ. ჩათვლით) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

p) თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა ჯანმრთელობის მომსახურება, საბავშვო ბაღი) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

q) იჯარის ვალდებულებები

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს შემდეგი საიჯარო გადასახდელების წმინდა მიმდინარე ღირებულებას :

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), , შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების დავალიანებებით.
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს, თავდაპირველად შეფასებულია ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების თარიღის მდგომარეობით.
- თანხები, რომლების მიღებასაც ჯგუფი მოელის ნარჩენი ღირებულების გარანტიით
- შესყიდვის ოფციონის გამოყენების ფასი თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია ამ ოფციონის გამოყენებაში, და
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები გათვალისინწბულია იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- თუ შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, რომელიც კორექტირებულია დაფინანსების პირობებში ცვლილებების ასახვისთვის, მესამე მხარის დაფინანსების მიღების შემდეგ იყენებს შენების (build-up) მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტორებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტორდება აქტივის გამოყენების უფლების საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლბის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

r) ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, ვინც ამტკიცებსგამოსაშვებად ამ ფინანსურ ანგარიშგებას.

5 ახალი ან განახლებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებამა მოიჯარეებს საშუალება მისცა არასავალდებული გათავისუფლების ფორმით ისარგებლონ , რაც მოიცავს COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობის შეფასებას წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის ისეთი აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ იჯარის დათმობებზე, რომლებიც ხდება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შემდეგი პირობაა დაკმაყოფილებული: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. შესწორების გამოყენებამ გავლენა არ იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განმარტება - ფასს 3-ში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შენაძენებისთვის წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- არსებითობის განმარტება - ბასს 1 – ში და ბასს 8 – ში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა - ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:
ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით.

ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.
  ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.
-

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ჰეჯირების ურთიერთობებში* რისკის *კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.
- *IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს:* (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია აფასებს აღნიშნული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟმად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ინფორმაცია შეფასებების, განსჯის და გაურკვევლობის მთავარ წყაროებზე

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, დადგენილ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივის ოპერირება ხდება. ამ პირობებისა და შეფასებების ნებისმიერი ცვლილების შედეგად შესაძლოა გაუფასურების განაკვეთების დაკორექტირების აუცილებლობა დადგეს.

8 ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

ქართული ლარი	მიწა	მიწის გაუმჯობესება	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**17,572,915**	**18,328,549**	**264,867**	**601,737**	**1,997,541**	**41,518,259**
დამატებები	-	-	18,066	844,649	-	103,646	1,928,329	**2,894,690**
გასვლები	-	-	-	-	(43,326)	-	-	**(43,326)**
რეკლასიფიკაცია	-	-	551,801	1,451,839	-	-	(2,003,640)	**-**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**18,142,782**	**20,625,037**	**221,541**	**705,383**	**1,922,230**	**44,369,623**
დამატებები	-	-	-	136,053	-	-	1,377,361	**1,513,414**
გასვლები	-	-	-	-	-	-	(4,655)	**(4,655)**
რეკლასიფიკაცია	-	-	109,586	1,401,741	-	112,013	(1,623,340)	**-**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**18,252,368**	**22,162,831**	**221,541**	**817,396**	**1,671,596**	**45,878,382**
ცვეთა								
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(70,899)**	**(741,797)**	**(2,295,630)**	**(37,092)**	**(158,920)**	**-**	**(3,304,338)**
ცვეთის დარიცხვა	-	(71,448)	(803,763)	(2,834,359)	(31,942)	(168,373)	-	**(3,909,885)**
გასვლების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	9,588	-	-	**9,588**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(142,347)**	**(1,545,560)**	**(5,129,989)**	**(59,446)**	**(327,293)**	**-**	**(7,204,635)**
ცვეთის დარიცხვა	-	(71,447)	(820,234)	(3,048,454)	(27,950)	(195,502)	-	**(4,163,587)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(213,794)**	**(2,365,794)**	**(8,178,443)**	**(87,396)**	**(522,795)**	**-**	**(11,368,222)**
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**571,578**	**16,597,222**	**15,495,048**	**162,095**	**378,090**	**1,922,230**	**37,164,988**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**500,131**	**15,886,574**	**13,984,388**	**134,145**	**294,601**	**1,671,596**	**34,510,160**

9 მარაგები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	5,669,204	4,896,836
მზა პროდუქცია	3,377,164	1,610,694
ნედლეული გზაში	767,077	390,085
სხვა მარაგები	65,590	25,435
სულ მარაგები	**10,409,428**	**3,290,506**

მზა საქონლის მოძრაობის დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ:

ქართული ლარი	2020	2019
მზა პროდუქცია საწყისი ნაშთი	**1,610,694**	**1,949,029**
წარმოების ხარჯები:		
ნედლეული	21,865,101	21,028,241
ცვეთა და ამორტიზაცია	3,498,899	3,320,622
ხელფასები	2,730,866	2,376,318
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები	851,340	728,398
სხვა დანახარჯები	1,292,721	1,191,174
სულ წარმოების ხარჯები	**30,238,927**	**28,644,753**
გაყიდული მზა პროდუქციის თვითღირებულება	(28,472,457)	(28,983,088)
მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი	**3,377,164**	**1,610,694**

გაყიდული ნედლეულის თვითღირებულება პერიოდის განმავლობაში იყო 283,840 (2019: 413,268ლარი).

10 გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	657,797	452,421
მარაგებისთვის გადახდილი ავანსი	134,190	133,473
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	39,307	37,458
სხვა გადახდილი ავანსები	97,233	77,190
სულ გადახდილი ავანსები	**928,527**	**700,542**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	7,816,764	10,001,584
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,816,764	10,001,584

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:		
- მიმდინარე	7,628,797	9,742,879
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	-
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	111,388	159,425
- 91-დან 180 დრემდე ვადაგადაცილება	-	-
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	-	-
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	76,579	99,280
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)	**7,816,764**	**10,001,584**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	**7,816,764**	**10,001,584**

გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჯგუფის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ დაკავშირებულ მხარეებთან რუსეთსა და ესპანეთში. გადახდის პირობები ითვალისწინებს გადახდას 120 დღის განმავლობაში. ხელმძღვანელობა არ ქმნის მოთხოვნების ანარიცხებს, რადგან შიდაჯგუფური მოთხოვნები ითვლება კომპანიისთვის ურისკოდ.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება მიმდინარე ანგარიშებისგან ერთ ქართულ კომერციულ ბანკში. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 14 398 ლარი (2019 წელი: 4 826 ლარი).

13 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის 100% -ის მფლობელი მშობელი კომპანიაა.

აქციონერის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილების თანახმად, მშობელმა საწესდებო კაპიტალი გაზარდა 19,551,309 ლარით (4,9 მილიონი ევრო). საწესდებო კაპიტალის ზრდა გახორციელდა მშობლისგან მიღებული პროცენტიანი სესხების კომპანიის საწესდებო კაპიტალში კონვერტაციის გზით (იხილეთ შენიშვნა 15).

14 ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები

2017 წლის იანვარში, კომპანიამ ხელი მოაწერა აქტივების გაყიდვისა და შესყიდვის შეთანხმებას შპს საქართველოს საერთაშორისო ჰოლდინგთან (GIH), და შპს Fresh-Georgia-სთან ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (FIZ) ქარხნის აქტივების შეძენასთან დაკავშირებით (შემდგომში „შეთანხმება“). შეძენის ფასი მოიცავდა 9,5 მილიონ ევროს, რომელიც მყისიერად შპს Fresh-Georgia-სთვის იყო გადასახდელი და GIH-სთვის გადასახდელ 250 ათას ევრო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და ასევე 250 ათას ევროს და 250 ათას ევროს გადახდის ვალდებულებას GIH-სადმი, შესაბამისად შეთანხმების ხელმოწერიდან 5 და 10 წლის შემდეგ, იმ პირობით, რომ ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ამ თარიღებისთვის ოპერირებას განაგრძობს.

15 ნასესხები სახსრები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მშობლისგან მიღებული სესხი	-	9,628,500
ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სესხები	-	750,000
საპროცენტო ვალდებულება	-	68,549
სულ ნასესხები სახსრები	**-**	**10,447,049**

2019 წლის 16 აპრილს კომპანიამ გააფორმა კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) მშობელთან. სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო 5 მილიონი ევროს დაფინანსება, საიდანაც 2019 წლის განმავლობაში მოხდა 3 მილიონი ევროს, ხოლო 2020 წელს 1,8 მილიონი ევროს გადახდა.
ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელს, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია განაცხადოს, ხოლო მსესხებელი მიიღებს და გასცემს, რომ სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები კონვერტირდება მსესხებლის საწესდებო კაპიტალში, შესაბამისი კორპორატიული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

კონვერტაციის უფლება გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს. აქციონერის დადგენილების თანახმად, მთლიანი დაუფარავი სესხი, მათ შორის სესხის ძირითადი თანხა 4,8 მილიონი ევროს ოდენობით და 59,521 ევრო გადასახდელი პროცენტი, კონვერტირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში, მშობლის სასარგებლოდ.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის ფინანსური საქმიანობისგან ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ისინია, რომლებიც მოხსენებულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც საფინანსო:

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქართული ლარი	
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ფულადი ნაკადების შემოდინება	10,672,944
დაგროვილი პროცენტი	71,528
ნასესხები სახსრების გადახდა	(750,000)
გადახდილი პროცენტი	(2,995)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	455,572
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,447,049**
ფულადი ნაკადების შემოდინება	6,430,290
დაგროვილი პროცენტი	149,136
შენატანი კაპიტალში	(19,551,309)
ნასესხები სახსრების გადახდა	(750,000)
გადახდილი პროცენტი	(5,717)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	3,280,551
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მარაგების შესყიდვისთვის	1,839,881	1,640,476
ვალდებულებები მიღებული მომსახურებისთვის	1,061,118	1,024,972
ვალდებულებები სატრანსფერო ფასების კორექტირებებისთვის	-	373,531
ვალდებულებები ძირითადი საშუალებებისთვის	34,441	38,466
სხვა ვალდებულებები	127,435	134,036
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3,062,875**	**3,211,481**

17 ამონაგები

ქართული ლარი	**2020**	**2019**
შემოსავალი წყლის გამათბობლების გაყიდვიდან	32,782,089	32,144,430
გამოცემული საკრედიტო ნოტების გამოკლებით	(1,785,541)	(3,204,180)
შემოსავალი ნედლეულის გაყიდვიდან	336,889	495,023
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	17,233	124,592
სულ ამონაგები	**14,735,095**	**-**

შემოსავლის 100% შედგება წყლის გამაცხელებლების დაკავშირებულ მხარეებთან გაყიდვებისგან - საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთსა და პოლონეთში. კომპანია არ უზრუნველყოფს გაყიდული საქონლის გარანტიებს და არ გააჩნია იმ პროდუქციის შეკეთების და გამოცვლის ვალდებულება, რომლებიც არ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	**2020**	**2019**
საკუნსულტაციო მომსახურების საფასური	3,342,486	3,518,026
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	1,174,107	1,169,886
რემონტი და მოვლა-შენახვა	689,510	612,824
ცვეთა და ამორტიზაცია	513,344	231,180
სამოგზაურო ხარჯები	55,556	155,984
წარმომადგენლობითი ხარჯები	40,690	109,852
საოპერაციო საგადასახადო ხარჯები	73,251	56,515
სხვა	374,242	386,508
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**6,263,186**	**6,240,775**

საკონსულტაციო მომსახურების საფასური მოიცავს Group Atlantic-ის მიერ მოწოდებული / გაწეული და კომპანიაზე მიკუთვნებული სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურებისა და მომსახურების საფასურს 3,171,175 ლარის ოდენობით (2019: 3,306,220 ლარი). მომსახურება მოიცავს მარკეტინგულ კვლევებს, ადამიანური რესურსებს, სამრეწველო, კომერციულ და ფინანსურ მომსახურებებს.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ვალდებულებები. კომპანიას გააჩნია ვალდებულება დაასაქმოს 120 საქართველოს მოქალაქე 2025 წლამდე.

20 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულბებების მთავარი მიზანი კომპანიის საოპერაციო da საინვესტიციო საქმიანობის გაზრდაა.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და უცხოური ვალუტის რისკი.

კომპანიის უფროსი ხელმძრვანელობა აკვირდება ამ რისკების მართვას. კომპანიის ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული საქმიანობა ძალიან შეზღუდულია. კომპანიას არ გააჩნია წარმოებული საქმიანობები რისკის მართვის და სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობა წარმოდგენილია ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე აგრეგირებული ნაშთებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარე ფინანსურ ზარალს მიაყენებს მეორე მხარეს, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსურ მდგომარეობაში, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნებზე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს ხელმისაწვდომი ფულისა და ფულადი დეპოზიტების უმეტესობის საქართველოში კარგად ცნობილ ბანკში დეპოზიტზე განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ ახორციელებს იმ ბანკების სტატუსის მონიტორინგს, რომლებშიც მისი დეპოზიტებია განთავსებული. 2020 წლის განმავლობაში, ამონაგების 100% შედგებოდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გაყიდვებისგან, მათ შორის 61% ექსპორტირებული იყო საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში რუსეთში, 37% საფრანგეთში, ხოლო 2% ჯგუფის სხვა კომპანიებში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ საკრედიტო რისკი შეადგენდა 10,478,915 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 10,216,778 ლარი)

საბაზრო რისკი

კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც სამომავლო ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება განიცდის რყევებს უცხოურის ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებების გამო.

კომპანია ხელშეკრულებებს დებს აშშ დოლარში, რუსულ რუბლში, ევროში და ქართულ ლარში. კომპანია არ იყენებს სავალუტო დერივატივებს სამომავლო ტრანზაქციების და ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვანებს ვალუტას, რომლებისთვისაც კომპანიას გააჩნდა მნიშვნელოვანი რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე (გამოსახულია ლარში)

ქართული ლარი	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*რუსული რუბლი*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,136	8,817	1,256,213	1,361,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,748	1,227,007	3,699,921	2,732,088
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	231,857	668,743	2,132,942	29,333
2020 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით წმინდა პოზიცია	**(38,973)**	**567,081**	**951,269**	**4,064,740**

ქართული ლარი	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*რუსული რუბლი*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	178,819	21,111	15,228	36
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	160,500	-	3,911,824	5,929,260
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,463,743	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	480,707	393,308	2,337,466	-
ნასესხები სახსრები	751,633	-	9,695,416	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა პოზიცია	**(893,021)**	**(372,197)**	**(9,569,573)**	**5,929,296**

შემდეგი ცხრილი ანალიზს უკეთებს კომპანიის მგრძნობელობას ევროს, აშშ დოლარის და რუსული რუბლის ჰიპოთეტური 10%-ით გამყარების და 10% გაუფასურების შემთხვევაში ლარის საპირისპიროდ 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოს 10%-იანი ზრდის და 10%-იანის შემცირების შემთხვევაში ქართულ ლართან მიმართებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის *ქართული ლარი*	**ვალუტის კურსის ცვლილება %-ში**	**გამყარება**	**გაუფასურება**
აშშ დოლარი	10.00%	56,708	(56,708)
ევრო	10.00%	95,127	(95,127)
რუსული რუბლი	10.00%	406,474	(406,474)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის *ქართული ლარი*	**ვალუტის კურსის ცვლილება %-ში**	**გამყარება**	**გაუფასურება**
აშშ დოლარი	10.00%	(37,220)	37,220
ევრო	10.00%	(956,957)	956,957
რუსული რუბლი	10.00%	592,930	(592,930)

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს სესხის აღების გზით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
კომპანია არ ახორციელებს ფინანსური ინსტრუმენტების გარიგებებს სავაჭრო ან სპეკულაციური მიზნებით ან საკრედიტო რისკის დაქვემდებარების სამართავად.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ფულადი ნაკადების პროგნოზირების შეფასების გზით და პროგნოზებისა და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგის საშუალებით და ფულადი სახსრების რესურსებისა და ფინანსური ანგარიშგების დაფარვის ვადების პროფილების შეთანხმებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჯამებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების პროფილებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით სახელშეკრულებო არადისკონტირებულ გადახდის ვალდებულებებზე:

2020 წლის 31 დეკემბერი *ქართული ლარი*	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	**1,871,923**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,062,875	-	-	**3,062,875**
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხის და პროცენტის ჩათვლით	**3,062,875**	**-**	**1,871,923**	**4,934,798**

2019 წლის 31 დეკემბერი *ლარში*	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
პროცენტიანი სესხი	751,633	9,791,885	-	**10,543,518**
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,463,743	**1,463,743**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,211,481	-	-	**3,211,481**
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხის და პროცენტის ჩათვლით	**3,111,693**	**3,924,011**	**1,358,660**	**8,394,364**

კაპიტალის მართვა

კაპიტალი შედგება მშობელი კომპანიის შენატანისგან კაპიტალში და დაგროვილი ზარალისგან და შეადგენს 52,117,464 ლარს (2019 : 40,874,368 ლარი).

კომპანიაზე არ ვრცელდება გარედან დაკისრებული კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

21 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდურია ან გააჩნიათ მოკლე დაფარვის ვადა (სამ თვეზე ნაკლები), ითვლება, რომ საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია რეალურ ღირებულებებთან.

ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, იმ განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია სესხებისთვის მსგავსი პირობებით, საკრედიტო რისკებითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით, მსხვილი საკრედიტო ინსტიტუციებისგან, საბაზრო პირობებით,

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, ფულის გამოკლებით, ფასდება რეალური ღირებულების იერარქიაში მესამე დონის მონაცემების გამოყენებით.

22 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 *დაკავშირებული მხარეების განმარტებების* მიხედვით მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.
დაკავშირებულ მხარეებმა შეიძლება აწარმოონ ისეთი გარიგებები, როგორიც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებზე შესაძლოა ახდენს გავლენას ისეთივე პირობები, როგორც არადაკავშირებულ მხარეებთან იგივე პირობების, თანხებისა და ტრანზაქციების შემთხვევაში.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს ნაშთებსა და ტრანზაქციებს მშობელ კომპანიასთან:

ქართული ლარი	ნასესხები სახსრები	საპროცენტო ხარჯი	ამონაგები	მოთხოვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	-	145,052	9,805,089	3,251,445
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	9,628,500	66,900	7,877,729	3,215,972

მომდევნო ცხრილში მოცემულია ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ქართული ლარი	დავალიანებები დაკავშირებულ მხარეების მიმართ	დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიერ
2020 წლის 31 დეკემბერი	1,865,707	4,406,744
2019 წლის 31 დეკემბერი	2,491,934	6,615,686

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სწარამოებთან ტრანზაქციების თანხები:

ქართული ლარი	ძირითადი საშუალებების შეძენა	საქონლის შესყიდვა	მომსახურების შესყიდვა	ამონაგები გაყიდვებიდან დაკავშირებულ მხარეებთან
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	430,479	8,072,933	3,171,176	21,441,741
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	1,523,270	8,184,414	3,306,220	21,579,076

ტრანზაქციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის		2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	
ქართული ლარი	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი ხელფასები და სარგებელი	405,340	-	546,496	-

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 20 აპრილს, კომპანიამ გააფორმა კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) მშობელთან მისი ოპერაციული ციკლის დაფინანსების მიზნით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი დაფინანსება წარმოადგენს 5 მილიონ ევროს, რომლიდანაც 2 მილიონის მიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე განხორციელდა. სესხის ძირითადი თანხა გადახდილი უნდა იყოს ყველაზე გვიან 2023 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო პროცენტის გადახდა მოხდება თანდათან, სესხის არსებობის მანძილზე

ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელს, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია განაცხადოს, ხოლო მსესხებელი მიიღებს და გასცემს, რომ სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები კონვერტირდება მსესხებლის საწესდებო კაპიტალში, შესაბამისი კორპორატიული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ. კონვერტაციის უფლება ჯერ გამოყენებული არ არის.

შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

Groupe Atlantic 1968 წელს საფრანგეთში დაარსდა და გააჩნია ძლიერი საწარმოო კულტურა, აგრეთვე ადამიანებზე ორიენტირებული მსოფლმხედველობა. 2020 წლისათვის, კომპანიას გააჩნია 28 ინდუსტრიული საწარმო, მათ შორის 12 საფრანგეთში. ჩვენი გადაწყვეტილებები ახლა უკვე ხელმისაწვდომია ოთხ კონტინენტზე 38 გაყიდვების ლოკაციებისა და მრავალი დისტრიბუტორის მეშვეობით, რომლებიც ემსახურება მილიონობით მომხმარებელს.

ჯგუფის მისიაა „მოჭარბებული ენერგიების მდგრად კეთილდღეობად ქცევა ყველასათვის ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად უსაფრთხო სითბური კომფორტის შექმნით“.

ჩვენი ჯგუფი მიისწრაფვის საწარმოო კონტროლისკენ, ინოვაციებისკენ, ენერგიის მდგრად კეთილდღეობად გარდაქმნისკენ და თანამშრომლების პერსონალური განვითარებისკენ.

GROUPE ATLANTIC-ი აწარმოებს პროდუქციის ფართო სპექტრს, დაწყებული მასობრივი წარმოების მილიონობით ყოველწლიური ერთეულიდან, დამთავრებული მცირე მასშტაბიანი წარმოებით. ჯგუფი შედგება 13 სტრატეგიული და დამატებითი ბრენდებისგან, რომლებიც ქმნიან თერმული კომფორტის გადაწყვეტილებებს ოთხ სფეროში:

- გათბობა
- ცხელი წყალი
- ჰაერის კონდიცირება
- ვენტილაცია



შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

ჩვენი კომერციული განვითარების სტრატეგია ემყარება ამბიციურ ინდუსტრიულ პოლიტიკას - ინდუსტრია 4.0, რომელიც მიზნად ისახავს გაფართოებას, მოდერნიზებას ან ახალი წარმოების შესაძლებლობების შექმნას, თითოეული მისი ბაზრის ეკონომიკური და ტექნოლოგიური საჭიროებების გათვალისწინებით.

ეკო-მოქალაქის მიდგომის ჩვენი მისწრაფებით, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა გადაწყვეტილებებმა ენერგია ეკონომიურად გარდაქმნას იმ გზებით, რომლებიც გარემოსადმი კეთილგანწყობილია.

შპს ატლანტიკ ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს რეგულაციების მიხედვით. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებელის ქუჩა 88. ატლანტიკ ჯორჯიას სრული მფლობელია Atlantic SFDT, იურიდიული საწარმო, რომელიც დაფუძნებულია და არსებობს საფრანგეთის კანონმდებლობით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მრგვალი ელექტრო წყლის გამაცხელებლების წარმოება. ატლანტიკ ჯორჯიამ თავისი პირველი წყლის გამაცხელებელი 2017 წლის დეკემბერში შექმნა. 2018 წელს, ქარხანამ დაიწყო წარმოება სრული მოცულობით და აწარმოა 126 ათასი წყლის გამაცხელებელი, 29 მოდელი. 2019 წელს Atlantic Georgia-მ აწარმოა 207 ათასი წყლის გამაცხელებელი და პროდუქციის 100% ექსპორტზე გაიტანა ესპანეთში, რუსეთში, საფრანგეთში, პოლონეთსა და უკრაინაში საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში. ხოლო 2020 წელს კომპანიამ აწარმოა 214 ათასი წყლის გამაცხელებელი და პროდუქციის 100% ექსპორტზე გაიტანა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში რუსეთში, საფრანგეთში, უკრაინასა და პოლონეთში.

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

2021 წელს Atlantic Georgia გეგმავს წარმოების გაზრდას და დაახლოებით 288 ათასი წყლის გამაცხელებლის წარმოებას. 2020 წლის ბოლოს კომპანიამ დაასრულა ბრტყელი წყლის გამაცხელებლების ახალი ხაზი და გამოუშვა თავისი პირველი პროდუქტი. 2021 წლის მარტში კომპანიამ მოამზადა ახალი ხაზი კერამიკული გამათბობელი ელემენტების (წყლის გამაცხელებლის ნაწილი) წარმოებისთვის და 2021 წლის აპრილიდან კომპანია აწარმოებს 3 განსხვავებულ ელემენტს, რომლებიც ექსპორტირდება საფრანგეთში (მინიმუმ 107 ათასი ერთეული).

საწარმოს მიერ შესრულებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წლამდე ქუთაისი სპეციალიზირდებოდა ცილინდრული კორპუსებით კონვენციური წყლის გამაცხელებლის წარმოებაზე. ამასთან, 2020 წლის სექტემბრიდან, საქართველომ მნიშვნელოვნად გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი 25-დან 80 ლიტრამდე ტევადობის წყლის გამაცხელებლების შემოღებით. ბრტყელი წყლის გამაცხელებლების წარმოებამ მრავალი ცვლილება და მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება გამოიწვია. ვინაიდან ბრტყელ გამაცხელებლებს ორი ავზი აქვთ, ისინი ცილინდრულ ქვაბებზე უფრო მაღალი და

მძიმეა. საჭირო გახდა თანამშრომლების მომზადება ახალ პროცესებში ჩასართავად: მაგალითად, ქვაბის ბრტყელი კორპუსები, საჭიროა დაიკეცოს და არა გადატრიალდეს. მეტალის დაკეცვა წყლის გამაცხელებლებისთვის პირველია GROUPE ATLANTIC-ის ფარგლებში. საქართველოს ქარხანა საბოლოოდ აწარმოებს 300–400 ბრტყელ წყლის გამაცხელებელს დღეში და 2021 წელს 20 000 – დან 25 000 – მდე რაოდენობის გაყიდვას გეგმავს. ამჟამად კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი მუშაობს კერამიკული წყლის გამაცხელებლების ხაზზე.

ინფორმაცია საწარმოს ფილიალებზე

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. ქარხანა, საწყობი და ადმინისტრაციული ოფისი მდებარეობს ქუთაისში, ავტომშენებელის ქუჩა 88-ში.

მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგნაირია:

	2020	2019
ამონაგები	31,350,670	29,559,865
რეალიზაციის თვითღირებულება	(28,756,297)	(29,396,356)
მთლიანი მოგება	**2,594,373**	**163,509**
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,432,838)	(6,280,911)
საოპერაციო ზარალი	**(3,838,465)**	**(6,117,402)**
სხვა არასაოპერაციო შემოსულობები(ზარალი)	(4,469,748)	84,663
წმინდა ზარალი	**(8,308,213)**	**(6,032,739)**
სულ აქტივები	57,071,648	56,009,390
სულ კაპიტალი	52,117,464	40,874,368

ზედნადები ხარჯი თითოეულ პროდუქტზე დაბალანსდება მომავალ წლებში გაზრდილი წარმოებით, რაც შეამცირებს გაყიდვების თვითღირებულებას. კონსულტაციების საფასური და სხვა წარმომადგენლობითი დანახარჯები შეტანილია სხვა საერთო და ადმინისტრაციულ დანახარჯებში.

ურთიერთობა თანამშრომლებთან

ატლანტიკ ჯორჯია იმერეთში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია კერძო სექტორში, თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 135 ადამიანია. კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს სრული სოციალური პაკეტით: მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი ხელფასის გარდა თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევით, სადილითა და ტრანსპორტირებით სამუშაო ადგილამდე და უკან.

შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

კომპანიის მთავარი დევიზი არის თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომელისთვის, კომპანია სენსიტიურია გენდერული საკითხების მიმართ, რაც აისახება იმ ფაქტში, რომ საშუალო ხელმძღვანელი პირების 38% მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

ატლანტიკ ჯორჯია მისი თანამშრომლების განვითარებასა და ტრენინგებზეა ორიენტირებული, ყველა თანამშრომელი გაივლის ტრენინგებს მათ სფეროში, ხშირად ეწყობა ტრენინგები და ვორქშოფები საქართველოს ფარგლებს გარეთ და რეგულარულად ხდება უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც გვიზიარებენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას ინდუსტრიაში.

შრომითი უსაფრთხოება კომპანიის პრიორიტეტია ყველა დონეზე, Atlantic Groupe-ის უსაფთხოების მოთხოვნები უნდა იყოს დაცული ევროპული სტანდარტების მიხედვით მთელს მსოფლიოში მის შვილობილ კომპანიებში, შესაბამისად, ყველა თანამშრომელი გაივლის ტრენინგს შრომისა და ხანძრის დროს უსაფრთხოებაში და ამ ცოდნის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგი ზედმიწევნით ხორციელდება.

ჯგუფის მიზანია მხარი დაუჭიროს ინდუსტრიული სექტორის განვითარებას საქართველოში და ზოგადად, კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რათა, სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მხარი დაუჭიროს კვალიფიციური ინჟინრების ახალ თაობას, კომპანია უზრუნველყოფს არა მხოლოდ დასაქმებას, არამედ სტაჟირებასაც ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტებისთვის. იმ პოზიციების გარდა, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ განათლებას/გამოცდილებას (თეთრსაყელოიანები), კომპანია აგრეთვე უზრუნველყოფს მრავალ შესაძლებლობას არასპეციალური კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებისთვის (ლურჯსაყელოიანები), რომლებსაც გააჩნიათ ყველანაირი საშუალება და მხარდაჭერა იმისათვის, რომ მოიპოვონ სპეციფიური ინდუსტრიული ცოდნა და ჰქონდეთ მათ მიერ არჩეულ კარიერულ გზაზე წინსვლის უნარი.

ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან

კომპანიამ საქმიანობის დაწყების პირველივე წელს ჩამოაყალიბა ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ატლანტიკ ჯორჯია პირდაპირ არ ჰყიდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელს, ჩვენ ყოველთვის თვალს ვადევნებთ დეფექტებსა და საჩივრებს ჩვენს ქარხანაში დამზადებულ პროდუქციაზე. მაგალითად, 2020 წელს გაყიდული 205 ათასი ერთეულიდან, ჩვენ მხოლოდ 148 საჩივარი მივიღეთ, დეფექტის განაკვეთი 722 PPM-ი არის. მომხმარებლების საჩივრები დაფიქსირდა, შემოწმდა და ნაპოვნია. გამოძიებისა და უპირველესი მიზეზების ანალიზის შემდეგ, ყველა საქმე დახურულია.

ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან

ატლანტიკ ჯორჯია ოპერირებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და მისი ოპერაციები არ ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას.

2020 წელს საკუთარი აქციების შესყიდვასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია

კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ჰქონია.

მთავრი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან, ბანკებში ვადიანი დეპოზიტებიდან, აგრეთვე მომხმარებლების საკრედიტო რისკებიდან, რაც მოიცავს დაუფარავ მოთხოვნებს. კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკი, რადგან ის თავის პროდუქციას ჰყიდის მხოლოდ დაკავშირებულ მხარეებზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის პოზიციები ხელმძღვანელობის მიერ ყოველთვიურ მონიტორინგს ექვემდებარება. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ვალუტებს, რომლების მიმართაც კომპანიას მნიშვნელოვანი რისკი გააჩნდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე (რომლებიც გამოსახულია ვალუტებში):

2020	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,136	8,817	1,256,213	1,361,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,748	1,227,007	3,699,921	2,732,088
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	231,857	668,743	2,132,942	29,333
წმინდა პოზიცია	**(38,972)**	**567,081**	**951,269**	**4,064,739**

პოლიტიკური რისკები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ატლანტიკ ჯორჯიას სამომავლო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში.

კოვიდ-19-ის კრიზისის გამო, ატლანტიკ ჯორჯიამ წარმოება დროებით შეაჩერა (2020 წლის აპრილი) და განვითარების პროექტები შეფერხდა. კომპანიამ დროებითი გაჩერება შემდგომ თვეებში დააკომპენსირა, მაგრამ გაყიდვები შემცირდა 2020 წლის მე-4 კვარტალში და კომპანიამ ვერ მიაღწია გაყიდვების დაგეგმილ დონეს. თუმცა, თერმული კომფორტის ბაზარი გამძლეა, განსაკუთრებით საცხოვრებელი სექტორისთვის და კომპანია არ პროგნოზირებს

წარმადობის მნიშვნელოვან ვარდნას. დაგეგმილი ინვესტიციების ნაწილი შეჩერდა კოვიდ -19-ის ვითარების გამო, ხოლო 2021 წელს ისინი ჯერ კიდევ განიხილება.

შპს ატლანტიკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ატლანტიკ ჯორჯიას მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ატლანტიკ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს („IESBA“-ის კოდექსი) მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარდები) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშს, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2021 წლის 29 აპრილი
თბილისი, საქართველო

შპს ატლანტიკ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	34,510,160	37,164,988
არამატერიალური აქტივები		27,358	52,179
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,247,653	951,853
სულ გრძელვადიანი აქტივები		**35,785,171**	**38,169,020**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	9,879,035	6,923,050
გადახდილი ავანსები	10	928,527	700,542
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	7,816,764	10,001,584
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	2,662,151	215,194
სულ მოკლვადიანი აქტივები		**21,286,477**	**17,840,370**
სულ აქტივები		**57,071,648**	**56,009,390**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	92,891,766	73,340,457
დაგროვილი დეფიციტი		(40,774,302)	(32,466,089)
სულ კაპიტალი		**52,117,464**	**40,874,368**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი ვალდებულება	14	1,871,923	1,463,743
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,871,923**	**1,463,743**
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები	15	-	10,447,049
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		19,386	12,749
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,062,875	3,211,481
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,082,261**	**13,671,279**
სულ ვალდებულებები		**4,954,184**	**15,135,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**57,071,648**	**56,009,390**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხელი მოეწერა 2021 წ. 29 აპრილს:

სტეფან ლე მატრი
დირექტორი

თინათინ დეკანოიძე
ფინანსური მენეჯერი

მპს ატლანტიკ ჯორჯია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	17	31,350,670	29,559,865
რეალიზაციის ღირებულება	9	(28,756,297)	(29,396,356)
მთლიანი მოგება		**2,594,373**	**163,509**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(6,263,186)	(6,240,775)
დისტრიბუციის ხარჯები		(97,237)	(199,707)
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	(11,461)
სხვა საოპერაციო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		(72,415)	171,032
საოპერაციო ზარალი		**(3,838,465)**	**(6,117,402)**
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		(4,274,245)	195,527
ფინანსური ხარჯები		(195,503)	(110,864)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(8,308,213)**	**(6,032,739)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		**(8,308,213)**	**(6,032,739)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ, წლის სრული ზარალი		**(8,308,213)**	**(6,032,739)**

შპს ატლანტიკ ჯორჯია
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანხები მოცემულია ლარში	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**73,340,457**	**(26,433,350)**	**46,907,107**
სულ წლის სრული ზარალი	-	(6,032,739)	**(6,032,739)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**73,340,457**	**(32,466,089)**	**40,874,368**
კაპიტალში შენატანი	19,551,309	-	**19,551,309**
სულ წლის სრული ზარალი	-	(8,308,213)	**(8,308,213)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**92,891,766**	**(40,774,302)**	**52,117,464**

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადამდე		(8,308,213)	(6,032,739)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	4,188,409	3,933,026
ფინანსური ხარჯები		149,136	71,528
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		4,274,245	(195,527)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	11,461
საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინება/(გადინება)საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებებამდე		**303,577**	**(2,212,251)**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები			
ცვლილებები მარაგებში		(2,956,080)	3,486,378
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,742,187	(3,725,557)
ცვლილებები გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		(20,691)	(106,214)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,223,469)	(5,904,220)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		6,637	1,944
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების შემდეგ		**(1,147,839)**	**(8,459,920)**
გადახდილი პროცენტი	15	(5,717)	(2,995)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,153,556)**	**(8,462,915)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(1,714,040)	(3,154,883)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(15,275)
ინვესტიციების შესყიდვა		(295,800)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(2,009,840)**	**(3,170,158)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	15	6,430,290	10,672,944
ნასესხების სახსრების დაფარვა	15	(750,000)	(750,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**5,680,290**	**9,922,944**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**2.516,894**	**(1,710,129)**
ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(69,937)	(45,244)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**215,194**	**1,970,567**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**2,662,151**	**215,194**

1 შპს ატლანტიკ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინნასური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ" მოთხოვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს ატლანტიკ ჯორჯიასთვის (შემდგომში „კომპანია").

შპს ატლანტიკ ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 9 თებერვალს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 412724477.

ატლანტიკ ჯორჯიას სრული მფლობელია - Atlantic SFDT („მშობელი"), იურიდიული საწარმო, რომელიც დაფუძნდა და არსებობს საფრანგეთის კანონმდებლობით და არის მშობელი კომპანია Groupe-Atlantic-სთვის ("ჯგუფი"). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ბატონი ჟან-პიერ ლამური.

ძირითადი საქმიანობა.. კომპანია ახდენს ელექტრო წყლის გამაცხელებლების წარმოებას. კომპანიას საწარმოო ობიექტი ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში აქვს და წარმოების მასალებისა და კომპონენტების შესყიდვების ძირითად ნაწილს, ისევე, როგორც გაყიდვებს, ახორციელებს დაკავშირებული მხარეების საწარმოებთან.

ბიზნესის წარმოების ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებელის ქუჩა 88.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ფარგლებშია. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანპონმდებლობა ხასიათდება განსხვავებული ინტერპრეტაციებით და და ხშირი ცვლილებებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების გამო, COVID-19- ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, კომპანიამ დროებით შეწყვიტა წარმოების პროცესი 2020 წლის აპრილში. მიუხედავად ამისა, ამას შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის გაყიდვების ან მიწოდების ქსელზე 2020 წელს, რადგან კომპანიამ განაგრძო საქონლის წარმოება და ექსპორტი, როგორც კი ეს საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული გახდა.

ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ამასთან, ვინაიდან ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს, ხელმძღვანელობა აგრძელებს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და ყველა შესაძლო ზომების მიღებას ნებისმიერი ზეგავლენის შესამცირებლად.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვების გაკეთებას. ასევე მენეჯმენტის მსჯელობას, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ის საკითხები რომლებიც მოიცავს მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იყო გამოყენებული, ჩამოთვლილია ქვემოთ:

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) *ძირითადი საშუალებები.*

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურების ანარიცხებით , ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემცირებული თვითღირებულებით. თვიღღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილების გამოცვლის და გრძელვადიანი სამშენებლო პროექტებისთვის ნასესხები სახსრების ხარჯებს, როდესაც აღიარების კრიტერიუმები დაცულია. მაშინ, როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლა საჭიროა, ინტერვალების დაცვით, კომპანია აღიარებს ასეთ ნაწილებს, როგორც ინდივიდუალურ აქტივებს, სპეციფიური სასარგებლო მომსახურების ვადით და ცვეთს მათ შესაბამისად. ასევე, მსხვილი ინსპექტირების განხორციელებისას, მისი თვითღირებულება ემატება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, როგორც შეცვლა, თუ აქტივის აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ყველა სხვა შეკეთების და მოვლა-შენახვის ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,მათი გაწევისთანავე.

ცვეთა გამოანგარიშება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობებისა და მიწის გაუმჯობესება	25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	4 წელი

აქტივები ცვეთას იწყებს იმ თვიდან, როდესაც ეს აქტივი დაიწყებს ოპერირებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების საგნის და ნებისმიერი თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება გასვლისას ან მაშინ, როდესაც მოსალოდნელი არ არის არანაირი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებიდან ან გასვლიდან. ნებისმიერი შემოსულობა თუ ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების შეწყვეტის გამო (გამოითვლება როგორც სხვაობა წმინდა გასვლის შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივს აღიარება შეუწყდა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის დასასრულს და კორექტირდება პერსპექტიულად, საჭიროებისამებრ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის საფასური, რომლებიც წარმოების პროცესში პირდაპირაა ჩართული, წარმოადგენს წარმოების ზედნადებ ხარჯებს და კლასიფიცირდება გაყიდვების თვითღირებულებად (თუ წარმოებული მარაგები რეალიზებულ იქნა) ან მარაგებად (თუ წარმოებული მარაგები არ იქნა რეალიზებული).

b) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას, მშენებლობას ან შექმნას და მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებისთვის, კაპიტალიზირდება ამ აქტივების თვითღირებულებაში. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება ხარჯებს იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომელიც საწარმოს მიერ გაიწევა თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოქმნილია კომპანიის შიგნით, გარდა კაპიტალიზებადი განვითარების ხარჯებისა, აისახება ხარჯებად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯი გაიწევა.

არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადით, ამორტიზდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე ყოველთვის, როდესაც არსებობს ფაქტორები იმაზე, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი გადაიხედება, სულ ცოტა, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. აქტივში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მოსალოდნელი მოხმარების მოდელი და მოსალოდნელი სასარგებლო მოხმარების ვადებში ცვლილებები განიხილება, როგორც ამოტიზაციის პერიოდის და მეთოდის მოდიფიკაცია, საჭიროებისამებრ და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებად ითვლება. კომპანიას არ გააჩნია აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით.

განსაზღვული სასარგებლო მომსახურების ვადიანი აქტივების ამორტიზაციის დანახარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, დანახარჯების კატეგორიაში, რაც შეესაბამება არამატერიალური აქტივების ფუნქციას. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს გააჩნიათ 4 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადა.

შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად, ფასდება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივს აღიარება უწყდება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

d) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმაზე, რომ აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს ან როდესაც ტესტი გაუფასურებაზე საჭიროა, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ღირებულებასა (ნეტო სარეალიზაციო ღირებულება) და აქტივის გამოყენების ღირებულების შორის. აღდგენითი ღირებულება განსაზღვრულია ინდივიდუალური აქტივებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს აქტივი არ წარმოქმნის ფულადი ნაკადების შემოდინებას, რომლებიც უმეტესწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან ან აქტივების ჯგუფებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, განაკვეთი ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებებს ფულის დროითი ღირებულებაზე და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯების (ნეტო სარეალიზაციო ღირებულება), განსაზღვრისას გათვალისწინებულია უახლესი საბაზრო ტრანზაქციები. თუ მსგავსი ტრანზაქციების იდენტიფიცირება ვერ მოხდა, შეფასების შესაბამისი მოდელი იქნება გამოყენებული. ეს გათვლები განმტკიცებულია შეფასების კოეფიციენტებით, საჯაროდ მოვაჭრე კომპანიების კვოტირებული სააქციო ფასებითა და სხვა ხელმისაწვდომი რეალური ღირებულების ინდიკატორებით.

კომპანია, გაუფასურების გამოთვლის საფუძვლად იყენებს დეტალურ ბიუჯეტებს და საპროგნოზო კალკულაციებს, რომლებიც მზადდება განცალკევებით ყველა კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქნელი ერეულისთვის, რომლებისთვისაც ინდივიდუალური აქტივები გამოიყოფა. ეს ბიუჯეტები და საპროგნოზო კალკულაციები ძირითადად ფარავს 5 წლამდე პერიოდს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოიანგარიშება გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი და გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების პროექციისთვის ხუთი წლის შემდეგ.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, დანახარჯების კატეგორიებში, რომლებიც შეესაბამება გაუფასურებული აქტივის ფუნქციას.

აქტივებისთვის გუდვილის გარდა, შეფასება ხორციელდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, იმის განსასაზღვრად, არის თუ არა მინიშნება იმაზე, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს ან შემცირდა. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის კორექტირება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებას ჰქონდა ადგილი მას შემდეგ, რაც ბოლო გაუფასურების ზარალი აღიარდა. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კორექტირება შეზღუდულია ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით , რომ არ ყოფილიყო აღიარებული გაუფასურების ზარალი აქტივისთვის წინა წლებში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

e) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მისაყვანად გაწეული ხარჯები აღირიცხება შემდეგნაირად:

- ნედლეული: შემენის ღირებულება, საშუალო შეწონილი ღირებულებით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წამოება: პირდაპირი მასალებისა და შრომის ღირებულება და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილი, რომელიც ეფუძნება ჩვეულებრივ საოპერაციო წარმადობას, ნასესხები სახსრების ხარჯების გამოკლებით

მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი ღირებულებით გაყიდვის თვითღირებულებაში. ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

f) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რაც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

ნაშთები და ტრანზაქციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალური ვალუტის სპოტ კურსებით იმ თარიღით, როდესაც ტრანზაქცია პირველად კვალიფიცირდება აღიარებისთვის.

მონატარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ფუნქციონალური სპოტ გაცვლის კურსით საანგარიშო თარიღისთვის.

მონეტარული მუხლების კონვერტირების ან დაფარვისგან წარმოქმნილი სხვაობები აღიარდება მოგებასა და ზარალში.

არამონეტარული მუხლები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების პირობებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება თავდაპირველი ტრანზაქციის თარიღის გაცვლის კურსის გამოყენებით. არამონეტარული მუხლები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღში არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარისთვის იყო 3.2766 ლარი და ერთი ევროსთვის 4.0233 ლარი (2019 წლის 31 დკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო 3.2095 ლარი.) ამჟამად, საქართველოს ფარგლებს გარეთ ქარული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

g) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას, ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენება აქტივის ან ვალდებულებისთვის როდესაც შეფასების ყველა მატერიალური მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად ბაზრის მონამცებებს (შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი მონაცემები).

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის დანახარჯების და პრემიის ან ფასდაკლების ამორტიზაციას საწყისი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ვადის ამოწურვის ღირებულებამდე. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს კრედიტის გავრცელებას ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC').

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ('ECL'). კომპანია პროგრესულად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით (AC) და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის.კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი ოდენობა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) გონივრული და ღირებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის ანარიცხი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო **360** თვის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ მოთხოვნები კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც მოთხოვნები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის წილობრივ წონებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომპანიის მოვალეების ისტორიულ ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორებია, რომლებსაც გავლენა აქვს მოთხოვნების აღდგენითობაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული (AC) , გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა (FVTPL) : ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალის პერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება და არის განზრახვა რომ მოხდეს ანგარიშსწორება ნეტო თანხით ან მოხდეს ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების ოპერაცია. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

h) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ამგარიშგებაში მოიცავს ფულს სალაროში და ხელზე, მოკლევადიან დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს და მოკლევადიან დეპოზიტებს, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

i) რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით,ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგება ან ვალდებულების გადაცემა მოხდება ან:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირთადი ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე

ძირითადი და ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ფასდება იმ დაშვებებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისას, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მათი საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებისდან გამომდინარე.

არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეების უნარს, გამოიმუშაონ ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესო გამოყენებით ან მისი მიყიდვით სხვა ბაზრის მონაწილისთვის, რომელიც აქტივს გამოიყენებს მისი საუკეთესო გამოყენებით.

კომპანია იყენებს შეფასების იმ ტექნიკას, რომელიც გარემოებების შესაბამისია და რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია საკმარისი მონაცემები, რათა შეფასდეს რეალური ღირებულება, შესატყვისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მაქსიმიზირებით და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლებისთვისაც ფასდება რეალური ღირებულება ან ფინანსურ ანგარიშგებაშია გამჟღავნებული, კატეგორიებად არის დაყოფილი რეალური ღირებულების იერარქიაში, რაც აღწერილია ქვემოთ და ეფუძნება ყველაზე დაბალი დონის მონაცემებს, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში:

- დონე 1 – კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის
- დონე 2 –. შეფასების ის ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად, პირდაპირ თუ ირიბად დაკვირვებადია.
- დონე 3 –. შეფასების ის ტექნიკა, რომლისთვისაც ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად არ არის დაკვირვებადი.

იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში განმეორებად საფუძველზე, კომპანია საზღვრავს , ტრანსფერები იერარქიის დონეებს შორის კატეგორიზაციის გადაფასების საშუალებით მოხდა თუ არა (ეფუძნება ყველაზე დაბალი დონის მონაცემებს, რაც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის მთლიანობაში) ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების გამჟღავნების მიზნებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა აქტივების და ვალდებულებების კლასები მათი ბუნების, ხასიათის, აქტივების და ვალდებულებების რისკების და რეალური ღირებულების იერარქიის დონის საფუძველზე, როგორც განმარტებულია ზემოთ.

j) გადასახადები

კომპანია ოპერირებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და მისი ოპერაციები არ ექვემდებარება გადასახადებს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

k) მოკლევადიანი კლასიფიკაცია გრძელვადიანის საპირისპიროდ

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგგარიშგებაში წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს მოკლევადიანი/გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით. აქტივი მოკლევადიანია როდესაც :

- მოსალოდნელია, რომ ის რეალიზდება ან განსაზღვრულია გასაყიდად ან მოსახმარებლად ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში
- უპირველესად ფლობილია სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია რომ რეალიზდება 12 თვის განმავლობაში საანგარიშო პერიოდის შემდგომ; ან

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც::

- მოსალოდნელია, რომ ის დაიფარება ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში
- ის ფლობილია უპირველესად სავაჭრო მიზნებისთვის;
- ის დასაფარია საანგარიშო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს უპირობო უფლება გადაიდოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვით საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

კომპანია ყველა სხვა ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს, როგორც გრძელვადიანის.

l) კაპიტალთან დაკავშირებული გარიგებები

მიღებული არაფულადი აქტივები და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება ამ აქტივების რეალური ღირებულებით . თუ რეალური ღირებულების დადგენა სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, ამ აქტივების ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში განისაზღვრება მინიჭებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებასთან მითითებით.

m) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (კანონიერი ან კონსტრუქციული), რაც გამოწვეულია წარსული მოვლენის შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო გახდება იმ რესურსების გადინება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს და ვალდებულების ოდენობის სარწმუნო შეფასების გაკეთება არის შესაძლებელი. როდესაც კომპანია მოელის მთლიანი ანარიცხის, ან მისი ნაწილის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, ანაზღაურება აღიარდება, როგორც ცალკე აქტივი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად ზუსტია. ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო თანხით , ნებისმიერი ანაზღაურების გარეშე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

n) ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, გადასახადების, საექსპორტო ვალდებულებების და სხვა სავალდებულო გადასახადების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება კოტროლის გადაცემის მომენტში.

ტრანზაქციის ფასი Groupe-Atlantic-ის მიერ განისაზღვრება და წარმოადგენს იმ თანხას, რომლის უფლებასაც კომპანია მოელის, რომ ექნება დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის მყიდველისთვის გადაცემის ნაცვლად, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც მესამე მხარეების სახელით არის მირებული. საგარანტიო მომსახურებაზე პასუხისმგებელი არის Groupe-Atlantic-ი, შესაბამისად კომპანიის მიერ არ არის აღიარებული არანაირი საგარანტიო ანარიცხი.

სატრანსპორტო მომსახურების გაყიდვა. კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებით. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა, და ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილს მთლიანად გასაწევ მომსახურებაში, რადგან მომხმარებელი სარგებელს მყისეულად იღებს და მოიხმარს.როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში მომხმარებელი ფიქსირებულ თანხას იხდის საკტრედიტო პირობების საფუძველზე. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება გადააჭარბებს გადახდას, მაშინ სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდები გადააჭარბებს გაწეულ მომსახურებას, მაშინ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

o) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილებების, მფლობელობის და ა.შ. ჩათვლით) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

p) თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა ჯანმრთელობის მომსახურება, საბავშვო ბაღი) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

q) იჯარის ვალდებულებები

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს შემდეგი საიჯარო გადასახდელების წმინდა მიმდინარე ღირებულებას :

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), , შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების დავალიანებებით.
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს, თავდაპირველად შეფასებულია ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების თარიღის მდგომარეობით.
- თანხები, რომლების მიღებასაც ჯგუფი მოელის ნარჩენი ღირებულების გარანტიით
- შესყიდვის ოფციონის გამოყენების ფასი თუ ჯგუფი გონივრულად დარწმუნებულია ამ ოფციონის გამოყენებაში, და
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები გათვალისინწებულია იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება ოპერაციული მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- თუ შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, რომელიც კორექტირებულია დაფინანსების პირობებში ცვლილებების ასახვისთვის, მესამე მხარის დაფინანსების მიღების შემდეგ იყენებს შენების (build-up) მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტორებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტორდება აქტივის გამოყენების უფლების საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლბის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

r) ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, ვინც ამტკიცებსგამოსაშვებად ამ ფინანსურ ანგარიშგებას.

5 ახალი ან განახლებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებამ მოიჯარეებს საშუალება მისცა არასავალდებული გათავისუფლების ფორმით ისარგებლონ , რაც მოიცავს COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობის შეფასებას წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის ისეთი აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ იჯარის დათმობებზე, რომლებიც ხდება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შემდეგი პირობაა დაკმაყოფილებული: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. შესწორების გამოყენებამ გავლენა არ იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განმარტება - ფასს 3-ში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შენაძენებისთვის წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- არსებითობის განმარტება - ბასს 1 – ში და ბასს 8 – ში შესწორებები (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა - ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით.

ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები"-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ" მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

6 **საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.
  ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.
-

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- *IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს:* (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება" ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია აფასებს აღნიშნული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ინფორმაცია შეფასებების, განსჯის და გაურკვევლობის მთავარ წყაროებზე

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, დადგენილ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივის ოპერირება ხდება. ამ პირობებისა და შეფასებების ნებისმიერი ცვლილების შედეგად შესაძლოა გაუფასურების განაკვეთების დაკორექტირების აუცილებლობა დადგეს.

8 ძირითადი საშუალებები

მომრაობები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

ქართული ლარი	მიწა	მიწის გაუმჯობესება	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**17,572,915**	**18,328,549**	**264,867**	**601,737**	**1,997,541**	**41,518,259**
დამატებები	-	-	18,066	844,649	-	103,646	1,928,329	**2,894,690**
გასვლები	-	-	-	-	(43,326)	-	-	**(43,326)**
რეკლასიფიკაცია	-	-	551,801	1,451,839	-	-	(2,003,640)	**-**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**18,142,782**	**20,625,037**	**221,541**	**705,383**	**1,922,230**	**44,369,623**
დამატებები	-	-	-	136,053	-	-	1,377,361	**1,513,414**
გასვლები	-	-	-	-	-	-	(4,655)	**(4,655)**
რეკლასიფიკაცია	-	-	109,586	1,401,741	-	112,013	(1,623,340)	**-**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**713,925**	**18,252,368**	**22,162,831**	**221,541**	**817,396**	**1,671,596**	**45,878,382**
ცვეთა								
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(70,899)**	**(741,797)**	**(2,295,630)**	**(37,092)**	**(158,920)**	**-**	**(3,304,338)**
ცვეთის დარიცხვა	-	(71,448)	(803,763)	(2,834,359)	(31,942)	(168,373)	-	**(3,909,885)**
გასვლების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	9,588	-	-	**9,588**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(142,347)**	**(1,545,560)**	**(5,129,989)**	**(59,446)**	**(327,293)**	**-**	**(7,204,635)**
ცვეთის დარიცხვა	-	(71,447)	(820,234)	(3,048,454)	(27,950)	(195,502)	-	**(4,163,587)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(213,794)**	**(2,365,794)**	**(8,178,443)**	**(87,396)**	**(522,795)**	**-**	**(11,368,222)**
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**571,578**	**16,597,222**	**15,495,048**	**162,095**	**378,090**	**1,922,230**	**37,164,988**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,038,725**	**500,131**	**15,886,574**	**13,984,388**	**134,145**	**294,601**	**1,671,596**	**34,510,160**

9 მარაგები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული		
მზა პროდუქცია	5,669,204	4,896,836
ნედლეული გზაში	3,377,164	1,610,694
სხვა მარაგები	767,077	390,085
სულ მარაგები	65,590	25,435
	10,409,428	**3,290,506**

მზა საქონლის მოძრაობის დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ:

ქართული ლარი	2020	2019
მზა პროდუქცია საწყისი ნაშთი	**1,610,694**	**1,949,029**
წარმოების ხარჯები:		
ნედლეული	21,865,101	21,028,241
ცვეთა და ამორტიზაცია	3,498,899	3,320,622
ხელფასები	2,730,866	2,376,318
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები	851,340	728,398
სხვა დანახარჯები	1,292,721	1,191,174
სულ წარმოების ხარჯები	**30,238,927**	**28,644,753**
გაყიდული მზა პროდუქციის თვითღირებულება	(28,472,457)	(28,983,088)
მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი	**3,377,164**	**1,610,694**

გაყიდული ნედლეულის თვითღირებულება პერიოდის განმავლობაში იყო 283,840 (2019: 413,268ლარი).

10 გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	657,797	452,421
მარაგებისთვის გადახდილი ავანსი	134,190	133,473
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	39,307	37,458
სხვა გადახდილი ავანსები	97,233	77,190
სულ გადახდილი ავანსები	**928,527**	**700,542**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	7,816,764	10,001,584
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,816,764	10,001,584

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:		
- მიმდინარე	7,628,797	9,742,879
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	-
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	111,388	159,425
- 91-დან 180 დრემდე ვადაგადაცილება	-	-
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	-	-
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	76,579	99,280
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)	**7,816,764**	**10,001,584**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	**7,816,764**	**10,001,584**

გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჯგუფის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ დაკავშირებულ მხარეებთან რუსეთსა და ესპანეთში. გადახდის პირობები ითვალისწინებს გადახდას 120 დღის განმავლობაში. ხელმძღვანელობა არ ქმნის მოთხოვნების ანარიცხებს, რადგან შიდაჯგუფური მოთხოვნები ითვლება კომპანიისთვის ურისკოდ.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება მიმდინარე ანგარიშებისგან ერთ ქართულ კომერციულ ბანკში. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 14 398 ლარი (2019 წელი: 4 826 ლარი).

13 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის 100% -ის მფლობელი მშობელი კომპანიაა.

აქციონერის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილების თანახმად, მშობელმა საწესდებო კაპიტალი გაზარდა 19,551,309 ლარით (4,9 მილიონი ევრო). საწესდებო კაპიტალის ზრდა გახორციელდა მშობლისგან მიღებული პროცენტიანი სესხების კომპანიის საწესდებო კაპიტალში კონვერტაციის გზით (იხილეთ შენიშვნა 15).

14 ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულებები

2017 წლის იანვარში, კომპანიამ ხელი მოაწერა აქტივების გაყიდვისა და შესყიდვის შეთანხმებას შპს საქართველოს საერთაშორისო ჰოლდინგთან (GIH), და შპს Fresh-Georgia-სთან ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (FIZ) ქარხნის აქტივების შეძენასთან დაკავშირებით (შემდგომში „შეთანხმება"). შეძენის ფასი მოიცავდა 9,5 მილიონ ევროს, რომელიც მყისიერად შპს Fresh-Georgia-სთვის იყო გადასახდელი და GIH-სთვის გადასახდელ 250 ათას ევრო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და ასევე 250 ათას ევროს და 250 ათას ევროს გადახდის ვალდებულებას GIH-სადმი, შესაბამისად შეთანხმების ხელმოწერიდან 5 და 10 წლის შემდეგ, იმ პირობით, რომ ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ამ თარიღებისთვის ოპერირებას განაგრძობს.

15 ნასესხები სახსრები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მშობლისგან მიღებული სესხი	-	9,628,500
ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სესხები	-	750,000
საპროცენტო ვალდებულება	-	68,549
სულ ნასესხები სახსრები	**-**	**10,447,049**

2019 წლის 16 აპრილს კომპანიამ გააფორმა კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება") მშობელთან. სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო 5 მილიონი ევროს დაფინანსება, საიდანაც 2019 წლის განმავლობაში მოხდა 3 მილიონი ევროს, ხოლო 2020 წელს 1,8 მილიონი ევროს გადახდა.
ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელს, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია განაცხადოს, ხოლო მსესხებელი მიიღებს და გასცემს, რომ სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები კონვერტირდება მსესხებლის საწესდებო კაპიტალში, შესაბამისი კორპორატიული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

კონვერტაციის უფლება გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს. აქციონერის დადგენილების თანახმად, მთლიანი დაუფარავი სესხი, მათ შორის სესხის ძირითადი თანხა 4,8 მილიონი ევროს ოდენობით და 59,521 ევრო გადასახდელი პროცენტი, კონვერტირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში, მშობლის სასარგებლოდ.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საფინანსო საქმიანობიდან ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის ფინანსური საქმიანობისგან ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ისინია, რომლებიც მოხსენებულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც საფინანსო:

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქართული ლარი	
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ფულადი ნაკადების შემოდინება	10,672,944
დაგროვილი პროცენტი	71,528
ნასესხები სახსრების გადახდა	(750,000)
გადახდილი პროცენტი	(2,995)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	455,572
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,447,049**
ფულადი ნაკადების შემოდინება	6,430,290
დაგროვილი პროცენტი	149,136
შენატანი კაპიტალში	(19,551,309)
ნასესხები სახსრების გადახდა	(750,000)
გადახდილი პროცენტი	(5,717)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	3,280,551
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მარაგების შესყიდვისთვის	1,839,881	1,640,476
ვალდებულებები მიღებული მომსახურებისთვის	1,061,118	1,024,972
ვალდებულებები სატრანსფერო ფასების კორექტირებებისთვის	-	373,531
ვალდებულებები ძირითადი საშუალებებისთვის	34,441	38,466
სხვა ვალდებულებები	127,435	134,036
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3,062,875**	**3,211,481**

17 ამონაგები

ქართული ლარი	2020	2019
შემოსავალი წყლის გამათბობლების გაყიდვიდან	32,782,089	32,144,430
გამოცემული საკრედიტო ნოტების გამოკლებით	(1,785,541)	(3,204,180)
შემოსავალი ნედლეულის გაყიდვიდან	336,889	495,023
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	17,233	124,592
სულ ამონაგები	**14,735,095**	**-**

შემოსავლის 100% შედგება წყლის გამაცხელებლების დაკავშირებულ მხარეებთან გაყიდვებისგან - საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთსა და პოლონეთში. კომპანია არ უზრუნველყოფს გაყიდული საქონლის გარანტიებს და არ გააჩნია იმ პროდუქციის შეკეთების და გამოცვლის ვალდებულება, რომლებიც არ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2020	2019
საკუნსულტაციო მომსახურების საფასური	3,342,486	3,518,026
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	1,174,107	1,169,886
რემონტი და მოვლა-შენახვა	689,510	612,824
ცვეთა და ამორტიზაცია	513,344	231,180
სამოგზაურო ხარჯები	55,556	155,984
წარმომადგენლობითი ხარჯები	40,690	109,852
საოპერაციო საგადასახადო ხარჯები	73,251	56,515
სხვა	374,242	386,508
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**6,263,186**	**6,240,775**

საკონსულტაციო მომსახურების საფასური მოიცავს Group Atlantic-ის მიერ მოწოდებული / გაწეული და კომპანიაზე მიკუთვნებული სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურებისა და მომსახურების საფასურს 3,171,175 ლარის ოდენობით (2019: 3,306,220 ლარი). მომსახურება მოიცავს მარკეტინგულ კვლევებს, ადამიანური რესურსებს, სამრეწველო, კომერციულ და ფინანსურ მომსახურებებს.

19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ვალდებულებები. კომპანიას გააჩნია ვალდებულება დაასაქმოს 120 საქართველოს მოქალაქე 2025 წლამდე.

20 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულბებების მთავარი მიზანი კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის გაზრდაა.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და უცხოური ვალუტის რისკი.

კომპანიის უფროსი ხელმძრვანელობა აკვირდება ამ რისკების მართვას. კომპანიის ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული საქმიანობა ძალიან შეზღუდულია. კომპანიას არ გააჩნია წარმოებული საქმიანობები რისკის მართვის და სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობა წარმოდგენილია ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე აგრეგირებული ნაშთებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარე ფინანსურ ზარალს მიაყენებს მეორე მხარეს, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკისადმი აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსურ მდგომარეობაში, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნებზე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საკრედიტო რისკის მართვა

კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს ხელმისაწვდომი ფულისა და ფულადი დეპოზიტების უმეტესობის საქართველოში კარგად ცნობილ ბანკში დეპოზიტზე განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ ახორციელებს იმ ბანკების სტატუსის მონიტორინგს, რომლებშიც მისი დეპოზიტებია განთავსებული. 2020 წლის განმავლობაში, ამონაგების 100% შედგებოდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გაყიდვებისგან, მათ შორის 61% ექსპორტირებული იყო საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში რუსეთში, 37% საფრანგეთში, ხოლო 2% ჯგუფის სხვა კომპანიებში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ საკრედიტო რისკი შეადგენდა 10,478,915 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 10,216,778 ლარი)

საბაზრო რისკი

კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც სამომავლო ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება განიცდის რყევებს უცხოურის ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებების გამო.

კომპანია ხელშეკრულებებს დებს აშშ დოლარში, რუსულ რუბლში, ევროში და ქართულ ლარში. კომპანია არ იყენებს სავალუტო დერივატივებს სამომავლო ტრანზაქციების და ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის.

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალუტას, რომლებისთვისაც კომპანიას გააჩნდა მნიშვნელოვანი რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე (გამოსახულია ლარში)

ქართული ლარი	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*რუსული რუბლი*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,136	8,817	1,256,213	1,361,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,748	1,227,007	3,699,921	2,732,088
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	231,857	668,743	2,132,942	29,333
2020 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით წმინდა პოზიცია	**(38,973)**	**567,081**	**951,269**	**4,064,740**

ქართული ლარი	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*ევრო*	*რუსული რუბლი*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	178,819	21,111	15,228	36
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	160,500	-	3,911,824	5,929,260
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,463,743	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	480,707	393,308	2,337,466	-
ნასესხები სახსრები	751,633	-	9,695,416	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა პოზიცია	**(893,021)**	**(372,197)**	**(9,569,573)**	**5,929,296**

შემდეგი ცხრილი ანალიზს უკეთებს კომპანიის მგრძნობელობას ევროს, აშშ დოლარის და რუსული რუბლის ჰიპოთეტური 10%-ით გამყარების და 10% გაუფასურების შემთხვევაში ლარის საპირისპიროდ 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოს 10%-იანი ზრდის და 10%-იანის შემცირების შემთხვევაში ქართულ ლართან მიმართებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის *ქართული ლარი*	**ვალუტის კურსის ცვლილება %-ში**	**გამყარება**	**გაუფასურება**
აშშ დოლარი	10.00%	56,708	(56,708)
ევრო	10.00%	95,127	(95,127)
რუსული რუბლი	10.00%	406,474	(406,474)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის *ქართული ლარი*	**ვალუტის კურსის ცვლილება %-ში**	**გამყარება**	**გაუფასურება**
აშშ დოლარი	10.00%	(37,220)	37,220
ევრო	10.00%	(956,957)	956,957
რუსული რუბლი	10.00%	592,930	(592,930)

20 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს სესხის აღების გზით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
კომპანია არ ახორციელებს ფინანსური ინსტრუმენტების გარიგებებს სავაჭრო ან სპეკულაციური მიზნებით ან საკრედიტო რისკის დაქვემდებარების სამართავად.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ფულადი ნაკადების პროგნოზირების შეფასების გზით და პროგნოზებისა და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგის საშუალებით და ფულადი სახსრების რესურსებისა და ფინანსური ანგარიშგების დაფარვის ვადების პროფილების შეთანხმებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჯამებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების პროფილებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით სახელშეკრულებო არადისკონტირებულ გადახდის ვალდებულებებზე:

2020 წლის 31 დეკემბერი *ქართული ლარი*	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	**1,871,923**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,062,875	-	-	**3,062,875**
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხის და პროცენტის ჩათვლით	**3,062,875**	**-**	**1,871,923**	**4,934,798**

2019 წლის 31 დეკემბერი *ლარში*	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
პროცენტიანი სესხი	751,633	9,791,885	-	**10,543,518**
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,463,743	**1,463,743**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,211,481	-	-	**3,211,481**
სულ სამომავლო გადახდები, სამომავლო ძირი თანხის და პროცენტის ჩათვლით	**3,111,693**	**3,924,011**	**1,358,660**	**8,394,364**

კაპიტალის მართვა

კაპიტალი შედგება მშობელი კომპანიის შენატანისგან კაპიტალში და დაგროვილი ზარალისგან და შეადგენს 52,117,464 ლარს (2019 : 40,874,368 ლარი).

კომპანიაზე არ ვრცელდება გარედან დაკისრებული კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

21 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდურია ან გააჩნიათ მოკლე დაფარვის ვადა (სამ თვეზე ნაკლები), ითვლება, რომ საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია რეალურ ღირებულებებთან.

ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება შეფასებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, იმ განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია სესხებისთვის მსგავსი პირობებით, საკრედიტო რისკებითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით, მსხვილი საკრედიტო ინსტიტუციებისგან, საბაზრო პირობებით,

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, ფულის გამოკლებით, ფასდება რეალური ღირებულების იერარქიაში მესამე დონის მონაცემების გამოყენებით.

22 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 დაკავშირებული მხარეების განმარტებების მიხედვით მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებმა შეიძლება აწარმოონ ისეთი გარიგებები, როგორიც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებზე შესაძლოა ახდენს გავლენას ისეთივე პირობები, როგორც არადაკავშირებულ მხარეებთან იგივე პირობების, თანხებისა და ტრანზაქციების შემთხვევაში.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს ნაშთებსა და ტრანზაქციებს მშობელ კომპანიასთან:

ქართული ლარი	ნასესხები სახსრები	საპროცენტო ხარჯი	ამონაგები	მოთხოვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	-	145,052	9,805,089	3,251,445
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	9,628,500	66,900	7,877,729	3,215,972

მომდევნო ცხრილში მოცემულია ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ქართული ლარი	დავალიანებები დაკავშირებულ მხარეების მიმართ	დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიერ
2020 წლის 31 დეკემბერი	1,865,707	4,406,744
2019 წლის 31 დეკემბერი	2,491,934	6,615,686

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ სწარამოებთან ტრანზაქციების თანხები:

ქართული ლარი	ძირითადი საშუალებების შეძენა	საქონლის შესყიდვა	მომსახურების შესყიდვა	ამონაგები გაყიდვებიდან დაკავშირებულ მხარეებთან
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	430,479	8,072,933	3,171,176	21,441,741
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	1,523,270	8,184,414	3,306,220	21,579,076

ტრანზაქციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის		2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	
ქართული ლარი	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი ხელფასები და სარგებელი	405,340	-	546,496	-

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 20 აპრილს, კომპანიამ გააფორმა კონვერტირებადი სესხის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება") მშობელთან მისი ოპერაციული ციკლის დაფინანსების მიზნით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი დაფინანსება წარმოადგენს 5 მილიონ ევროს, რომლიდანაც 2 მილიონის მიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე განხორციელდა. სესხის ძირითადი თანხა გადახდილი უნდა იყოს ყველაზე გვიან 2023 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო პროცენტის გადახდა მოხდება თანდათან, სესხის არსებობის მანძილზე

ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელს, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია განაცხადოს, ხოლო მსესხებელი მიიღებს და გასცემს, რომ სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები კონვერტირდება მსესხებლის საწესდებო კაპიტალში, შესაბამისი კორპორატიული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ. კონვერტაციის უფლება ჯერ გამოყენებული არ არის.

შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

Groupe Atlantic 1968 წელს საფრანგეთში დაარსდა და გააჩნია ძლიერი საწარმოო კულტურა, აგრეთვე ადამიანებზე ორიენტირებული მსოფლმხედველობა. 2020 წლისათვის, კომპანიას გააჩნია 28 ინდუსტრიული საწარმო, მათ შორის 12 საფრანგეთში. ჩვენი გადაწყვეტილებები ახლა უკვე ხელმისაწვდომია ოთხ კონტინენტზე 38 გაყიდვების ლოკაციებისა და მრავალი დისტრიბუტორის მეშვეობით, რომლებიც ემსახურება მილიონობით მომხმარებელს.

ჯგუფის მისიაა „მოჭარბებული ენერგიების მდგრად კეთილდღეობად ქცევა ყველასათვის ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად უსაფრთხო სითბური კომფორტის შექმნით“.

ჩვენი ჯგუფი მიისწრაფვის საწარმოო კონტროლისკენ, ინოვაციებისკენ, ენერგიის მდგრად კეთილდღეობად გარდაქმნისკენ და თანამშრომლების პერსონალური განვითარებისკენ.

GROUPE ATLANTIC-ი აწარმოებს პროდუქციის ფართო სპექტრს, დაწყებული მასობრივი წარმოების მილიონობით ყოველწლიური ერთეულიდან, დამთავრებული მცირე მასშტაბიანი წარმოებით. ჯგუფი შედგება 13 სტრატეგიული და დამატებითი ბრენდებისგან, რომლებიც ქმნიან თერმული კომფორტის გადაწყვეტილებებს ოთხ სფეროში:

- გათბობა
- ცხელი წყალი
- ჰაერის კონდიცირება
- ვენტილაცია

გჯს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

ჩვენი კომერციული განვითარების სტრატეგია ემყარება ამბიციურ ინდუსტრიულ პოლიტიკას - ინდუსტრია 4.0, რომელიც მიზნად ისახავს გაფართოებას, მოდერნიზებას ან ახალი წარმოების შესაძლებლობების შექმნას, თითოეული მისი ბაზრის ეკონომიკური და ტექნოლოგიური საჭიროებების გათვალისწინებით.

ეკო-მოქალაქის მიდგომის ჩვენი მისწრაფებით, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა გადაწყვეტილებებმა ენერგია ეკონომიურად გარდაქმნას იმ გზებით, რომლებიც გარემოსადმი კეთილგანწყობილია.

გჯს ატლანტიკ ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს რეგულაციების მიხედვით. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებელის ქუჩა 88. ატლანტიკ ჯორჯიას სრული მფლობელია Atlantic SFDT, იურიდიული საწარმო, რომელიც დაფუძნებულია და არსებობს საფრანგეთის კანონმდებლობით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მრგვალი ელექტრო წყლის გამაცხელებლების წარმოება. ატლანტიკ ჯორჯიამ თავისი პირველი წყლის გამაცხელებელი 2017 წლის დეკემბერში შექმნა. 2018 წელს, ქარხანამ დაიწყო წარმოება სრული მოცულობით და აწარმოა 126 ათასი წყლის გამაცხელებელი, 29 მოდელი. 2019 წელს Atlantic Georgia-მ აწარმოა 207 ათასი წყლის გამაცხელებელი და პროდუქციის 100% ექსპორტზე გაიტანა ესპანეთში, რუსეთში, საფრანგეთში, პოლონეთსა და უკრაინაში საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში. ხოლო 2020 წელს კომპანიამ აწარმოა 214 ათასი წყლის გამაცხელებელი და პროდუქციის 100% ექსპორტზე გაიტანა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში რუსეთში, საფრანგეთში, უკრაინასა და პოლონეთში.

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

2021 წელს Atlantic Georgia გეგმავს წარმოების გაზრდას და დაახლოებით 288 ათასი წყლის გამაცხელებლის წარმოებას. 2020 წლის ბოლოს კომპანიამ დაასრულა ბრტყელი წყლის გამაცხელებლების ახალი ხაზი და გამოუშვა თავისი პირველი პროდუქტი. 2021 წლის მარტში კომპანიამ მოამზადა ახალი ხაზი კერამიკული გამათბობელი ელემენტების (წყლის გამაცხელებლის ნაწილი) წარმოებისთვის და 2021 წლის აპრილიდან კომპანია აწარმოებს 3 განსხვავებულ ელემენტს, რომლებიც ექსპორტირდება საფრანგეთში (მინიმუმ 107 ათასი ერთეული).

საწარმოს მიერ შესრულებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წლამდე ქუთაისი სპეციალიზირდებოდა ცილინდრული კორპუსებით კონვენციური წყლის გამაცხელებლის წარმოებაზე. ამასთან, 2020 წლის სექტემბრიდან, საქართველომ მნიშვნელოვნად გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი 25-დან 80 ლიტრამდე ტევადობის წყლის გამაცხელებლების შემოღებით. ბრტყელი წყლის გამაცხელებლების წარმოებამ მრავალი ცვლილება და მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება გამოიწვია. ვინაიდან ბრტყელ გამაცხელებლებს ორი ავზი აქვთ, ისინი ცილინდრულ ქვაბებზე უფრო მაღალი და

მძიმეა. საჭირო გახდა თანამშრომლების მომზადება ახალ პროცესებში ჩასართავად: მაგალითად, ქვაბის ბრტყელი კორპუსები, საჭიროა დაიკეცოს და არა გადატრიალდეს. მეტალის დაკეცვა წყლის გამაცხელებლებისთვის პირველია GROUPE ATLANTIC-ის ფარგლებში. საქართველოს ქარხანა საბოლოოდ აწარმოებს 300–400 ბრტყელ წყლის გამაცხელებელს დღეში და 2021 წელს 20 000 – დან 25 000 – მდე რაოდენობის გაყიდვას გეგმავს. ამჟამად კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი მუშაობს კერამიკული წყლის გამაცხელებლების ხაზზე.

ინფორმაცია საწარმოს ფილიალებზე

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. ქარხანა, საწყობი და ადმინისტრაციული ოფისი მდებარეობს ქუთაისში, ავტომშენებელის ქუჩა 88-ში.

მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგნაირია:

	2020	2019
ამონაგები	31,350,670	29,559,865
რეალიზაციის თვითღირებულება	(28,756,297)	(29,396,356)
მთლიანი მოგება	**2,594,373**	**163,509**
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,432,838)	(6,280,911)
საოპერაციო ზარალი	**(3,838,465)**	**(6,117,402)**
სხვა არასაოპერაციო შემოსულობები(ზარალი)	(4,469,748)	84,663
წმინდა ზარალი	**(8,308,213)**	**(6,032,739)**
სულ აქტივები	57,071,648	56,009,390
სულ კაპიტალი	52,117,464	40,874,368

ზედნადები ხარჯი თითოეულ პროდუქტზე დაბალანსდება მომავალ წლებში გაზრდილი წარმოებით, რაც შეამცირებს გაყიდვების თვითღირებულებას. კონსულტაციების საფასური და სხვა წარმომადგენლობითი დანახარჯები შეტანილია სხვა საერთო და ადმინისტრაციულ დანახარჯებში.

ურთიერთობა თანამშრომლებთან

ატლანტიკ ჯორჯია იმერეთში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია კერძო სექტორში, თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 135 ადამიანია. კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს სრული სოციალური პაკეტით: მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი ხელფასის გარდა თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევით, სადილითა და ტრანსპორტირებით სამუშაო ადგილამდე და უკან.

შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

კომპანიის მთავარი დევიზი არის თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომელისთვის, კომპანია სენსიტიურია გენდერული საკითხების მიმართ, რაც აისახება იმ ფაქტში, რომ საშუალო ხელმძღვანელი პირების 38% მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

ატლანტიკ ჯორჯია მისი თანამშრომლების განვითარებასა და ტრენინგებზეა ორიენტირებული, ყველა თანამშრომელი გაივლის ტრენინგებს მათ სფეროში, ხშირად ეწყობა ტრენინგები და ვორქშოფები საქართველოს ფარგლებს გარეთ და რეგულარულად ხდება უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც გვიზიარებენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას ინდუსტრიაში.

შრომითი უსაფრთხოება კომპანიის პრიორიტეტია ყველა დონეზე, Atlantic Groupe-ის უსაფთხოების მოთხოვნები უნდა იყოს დაცული ევროპული სტანდარტების მიხედვით მთელს მსოფლიოში მის შვილობილ კომპანიებში, შესაბამისად, ყველა თანამშრომელი გაივლის ტრენინგს შრომისა და ხანძრის დროს უსაფრთხოებაში და ამ ცოდნის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგი ზედმიწევნით ხორციელდება.

ჯგუფის მიზანია მხარი დაუჭიროს ინდუსტრიული სექტორის განვითარებას საქართველოში და ზოგადად, კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რათა, სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მხარი დაუჭიროს კვალიფიციური ინჟინრების ახალ თაობას, კომპანია უზრუნველყოფს არა მხოლოდ დასაქმებას, არამედ სტაჟირებასაც ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტებისთვის. იმ პოზიციების გარდა, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ განათლებას/გამოცდილებას (თეთრსაყელოიანები), კომპანია აგრეთვე უზრუნველყოფს მრავალ შესაძლებლობას არასპეციალური კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებისთვის (ლურჯსაყელოიანები), რომლებსაც გააჩნიათ ყველანაირი საშუალება და მხარდაჭერა იმისათვის, რომ მოიპოვონ სპეციფიური ინდუსტრიული ცოდნა და ჰქონდეთ მათ მიერ არჩეულ კარიერულ გზაზე წინსვლის უნარი.

ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან

კომპანიამ საქმიანობის დაწყების პირველივე წელს ჩამოაყალიბა ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ატლანტიკ ჯორჯია პირდაპირ არ ჰყიდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელს, ჩვენ ყოველთვის თვალს ვადევნებთ დეფექტებსა და საჩივრებს ჩვენს ქარხანაში დამზადებულ პროდუქციაზე. მაგალითად, 2020 წელს გაყიდული 205 ათასი ერთეულიდან, ჩვენ მხოლოდ 148 საჩივარი მივიღეთ, დეფექტის განაკვეთი 722 PPM-ი არის. მომხმარებლების საჩივრები დაფიქსირდა, შემოწმდა და ნაპოვნია. გამოძიებისა და უპირველესი მიზეზების ანალიზის შემდეგ, ყველა საქმე დახურულია.

ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან

შპს ატლანტიკ ჯორჯია

მმართველობის ანგარიში – კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2020

ატლანტიკ ჯორჯია ოპერირებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და მისი ოპერაციები არ ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას.

2020 წელს საკუთარი აქციების შესყიდვასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია

კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ჰქონია.

მთავრი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან, ბანკებში ვადიანი დეპოზიტებიდან, აგრეთვე მომხმარებლების საკრედიტო რისკებიდან, რაც მოიცავს დაუფარავ მოთხოვნებს. კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკი, რადგან ის თავის პროდუქციას ჰყიდის მხოლოდ დაკავშირებულ მხარეებზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის პოზიციები ხელმძღვანელობის მიერ ყოველთვიურ მონიტორინგს ექვემდებარება. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ვალუტებს, რომლების მიმართაც კომპანიას მნიშვნელოვანი რისკი გააჩნდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებზე (რომლებიც გამოსახულია ვალუტებში):

2020	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,136	8,817	1,256,213	1,361,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,748	1,227,007	3,699,921	2,732,088
ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	-	-	1,871,923	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	231,857	668,743	2,132,942	29,333
წმინდა პოზიცია	**(38,972)**	**567,081**	**951,269**	**4,064,739**

პოლიტიკური რისკები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ატლანტიკ ჯორჯიას სამომავლო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში.

კოვიდ-19-ის კრიზისის გამო, ატლანტიკ ჯორჯიამ წარმოება დროებით შეაჩერა (2020 წლის აპრილი) და განვითარების პროექტები შეფერხდა. კომპანიამ დროებითი გაჩერება შემდგომ თვეებში დააკომპენსირა, მაგრამ გაყიდვები შემცირდა 2020 წლის მე-4 კვარტალში და კომპანიამ ვერ მიაღწია გაყიდვების დაგეგმილ დონეს. თუმცა, თერმული კომფორტის ბაზარი გამძლეა, განსაკუთრებით საცხოვრებელი სექტორისთვის და კომპანია არ პროგნოზირებს

წარმადობის მნიშვნელოვან ვარდნას. დაგეგმილი ინვესტიციების ნაწილი შეჩერდა კოვიდ -19-ის ვითარების გამო, ხოლო 2021 წელს ისინი ჯერ კიდევ განიხილება.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210765263
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	61132270218221

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაერთ ივლისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ზეფიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - პს ატლანტიკ ჯორჯია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 94.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე